

რა გზა განვლო ინტელექტუალურმა საკუთრებამ უძველესი დროიდან დღემდე?

შემოქმედებითობა ჩვენი დღეს-ის ნაწილია. ადრეული გამოქვაბულის მხატვრობიდან დაწყებული - დავინჩის, მიქელანჯელოს, მოცარტისა და ბახის შექმნილებამდე, ადამიანები ყოველთვის პოულობდნენ შემოქმედებითობის გამომხატვის გზებს.

ინტელექტუალური საკუთრების ისტორია - უძველესი დროიდან შუა საუკუნეებამდე და შუა საუკუნეებიდან დღემდე - კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ ვცდილობდით ადამიანები ჩვენ მიერ შექმნილის, ანუ იმის დაცვას, რასაც დღეს ინტელექტუალურ საკუთრებას ვუწოდებთ.

შემოქმედებითობა და გამომგონებლობა ადამიანის ორი განსაკუთრებული უნარია. სწორედ აღნიშნული თვისებები გამოგვარჩევს ცხოველთა სამყაროსაგან. ამ გადმოსახედიდან არ უნდა გაგვივიწყრდეს შემდეგი ფაქტი: იმ კანონის ისტორია, რომელიც სწორედ ადამიანის შემოქმედებითობისა და გამომგონებლობის ნაყოფის დაცვას ეხება, ათასობით წლით თარიღდება.

პირიქით, ის, რასაც ჩვენ დღეს ინტელექტუალურ საკუთრებას ვუწოდებთ, უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მას შუა საუკუნეებშიც და აღორძინების დროსაც იცავდნენ და, თუ ისტორიას გადავხედავთ, გავაცნობიერებთ -- იმ დროის ხალხი აფასებდა და აღიარებდა ადამიანის იდეების უნიკალურობას; მათი დაცვის მექანიზმებზეც ფიქრობდა, რომლებსაც მიაგნო კიდევ.

ინტელექტუალური საკუთრება ძველ საბერძნეთსა და რომში

უძველეს დროში თუ ვიმოგზაურებთ და 2500 წლის წინანდელ ისტორიას გავიხსენებთ, აღმოვაჩენთ, რომ დიდი საბერძნეთის (Magna Graecia, დღევანდელი სამხრეთი იტალია) მნიშვნელოვან ქალაქ სიბარისში შეფშარულები მათ მიერ შექმნილ ორიგინალურ და დახვეწილ კულინარიულ რეცეპტებზე ერთწლიანი მონოპოლიით სარგებლობდნენ. ძვ.წ. 330 წელს ძველ საბერძნეთში პლატონის ყოფილმა მოსწავლემ, ლიკურგი ათენელმა შემოიღო კანონი, რომლის თანახმად ესქილეს, ევრიპიდესა და სოფოკლეს ნამუშევრების ავთენტური ასლების ქალაქის არქივში უნდა შენახულიყო. ამ გადაწყვეტილების მიზანი დრამატურგთა შემოქმედების დაცვა და ორიგინალი ნამუშევრისგან გადახვევის პრევენცია გახლდათ.

რომაელებიც არანაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ადამიანის გონების ნაყოფის დაცვას, ანუ ინტელექტუალური საკუთრების უზრუნველყოფას. ამის მაგალითად კი ძვ.წ. პირველი საუკუნის ორი საინტერესო მოვლენა გამოგვა-



დგება. ციცერონი თავის ნამუშევრებსა და კორნელიუს ჰელნიუსის ხშირად ახსენებს იმას, რასაც თანამედროვე ენაზე პლაგიატიზმს ვუწოდებთ. ვიტრუვიუსი კი ლიტერატურაზე მსჯელობისას მოიხსენიებს „ყალბ პოეტებს“, რომლებმაც სხვების შემოქმედება მიისაკუთრეს. ამ ქმედების გამო მატყუარა ავტორები გაასამართლეს, დამნაშავედ ცნეს და სამუდამოდ შერცხვენილებად დატოვეს.

მართალია, რომის იმპერიაში ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა არ მიუღიათ, მაგრამ, შეიძლება იცოდეთ, რომ რომაელმა იურისტებმა გარკვეული ცნებები შეიმუშავეს, რომლებსაც დღემდე ეყრდნობა საავტორო უფლებების შესახებ კანონი. მათ შორისაა განსხვავება ნაწარმოებსა (corpus mysticum) და მის ხელშესახებ მატერიალურ განხორციელებას (corpus mechanicum) შორის. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომაც კი მიმართა აღნიშნულ სხვაობას ერთ-ერთი საქმის განხილვის დროს, რომელიც... ხელოვნების ნიმუშების ამსახველი პოსტერების დამზადებასა და რეალიზებას ეხებოდა.

ინტელექტუალური საკუთრება შუა საუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში

ჩვ.წ. მე-6 საუკუნეში თუ გადავინაცვლებთ, ვნახავთ, თუ რაოდენ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა ირლანდიაში სხვისი ნაშრომის მითვისებას, რაც, საბოლოო ჯამში, ისტორიული მოვლენების ჯაჭვად იქცა და ინტელექტუალური საკუთრების ისტორიაშიც უძველეს დროს და ჩაიწერა. ქრისტიანმა მისიონერმა კოლუმბამ ფინიან კლონარდელისეული ფსალმუნი ამ უკანასკნელის ნებართვის გარეშე გადაწერა. მათ შორის გაჩაღებული დავა მეფე დიარმა-იტ მაკ კერბალიმა ფინიანის სასარგებლოდ გადაწყვიტა და ცნობილი ფრაზაც წარმოთქვა: „ყველა ძროხას ეკუთვნის თავისი ნაშიერი, ხოლო ყველა წიგნს - მისი ეგზემპლარი“. თუმცა, ამბავი ამით არ დამთავრებულა - განვითარებული მოვლენები ე.წ. „წიგნის ომში“ გადაიზარდა, რომელიც 3000 ადამიანის დაღუპვითა და კოლუმბას გაქცევით დასრულდა.

დროში მოგზაურობას თუ გავაგრძელებთ, აღმოვაჩენთ, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა კიდევ უფრო განვითარდა აღორძინების ხანაში. მაგალითად, ფლორენციაში მოღვაწე არქიტექტორსა და ინჟინერს ფილიპო ბრუნელესკის - ისტორიაში პირველად - მიენიჭა პატენტი „გარკვეული მეთოდისა თუ გემისთვის“, რომლის მეშვეობითაც „მდინარე არნოსა თუ სხვა მდინარესა და წყლის ზედაპირზე საქონლისა და ტვირთის გადაადგილება გაცილებით დაბალი ხარჯებით იყო შესაძლებელი; გარდა ამისა, იგი ვაჭრებს, და არა მხოლოდ მათ, სხვა ბუნეფიტებსაც ანიჭებდა.“ ამავე დროს ინგლისში ჰენრი VI-მ ჯონ უტინამს პირველი სამრეწველო პრივილეგია მიანიჭა, რომლის ფარგლებშიც მას 20-წლიანი მონოპოლია ჰქონდა ფერადი მინის წარმოებაზე. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ კი, 1474 წელს მიღებულ იქნა შემაჯამებელი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ვენეციის რესპუბლიკაში პატენტის გაცემას არეგულირებდა.

ინტელექტუალური საკუთრება თანამედროვე ეპოქაში

ინტელექტუალურმა საკუთრებამ დღევანდელი სახის მიღება თანამედროვე ეპოქაში დაიწყო: იგი ნელ-ნელა ჩამოშორდა მონარქის ან მმართველის მიერ მინიჭებული პრივილეგიის სტატუსს და სამართლებრივი ბუნება შეიძინა; სწორედ ასე იმჟა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.

1624 წელს ინგლისში მიღებულ იქნა კანონი მონოპოლიების შესახებ, რომლის თანახმადაც მონარქს ჰქონდა

უფლებამოსილება, გამონაკლისის სახით ახალ გამოგონებებზე პატენტი გაეცა, რომელსაც 14 წლის განმავლობაში ექნებოდა მოქმედების ძალა. შემდეგ კი, 1710 წელს საავტორო უფლებების შესახებ პირველი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო გადაწყვეტილება - დედოფალი ანას კანონი მიიღეს, რომლის გაცხადებული მიზანი გახლდათ: „განათლების განვითარების ხელშეწყობა.“ იგი საწყის ეტაპზე ავტორებს 14-წლიან უფლებას ანიჭებდა დაბეჭდილი წიგნების ეგზემპლარებზე.

მე-18 საუკუნის დასასრულს ინტელექტუალური საკუთრების უფლება აშშ-ს კონსტიტუციაშიც აისახა, რომლის თანახმადაც ინტელექტუალური საკუთრების შესაბამისი მუხლი აშშ-ს კონგრესს ნებას აძლევდა, რომ „მეცნიერებისა და სასარგებლო დარგების პროგრესი წახალისებინათ ავტორებისა და გამომგონებლებისთვის მათსავე ნაშრომებსა და აღმოჩენებზე ექსკლუზიური უფლების მინიჭების გზით გარკვეული დროის განმავლობაში.“ აშშ-ის კონგრესმა პირველი ფედერალური კანონი პატენტის შესახებ 1790 წელს მიიღო, იმავე წელს მიღებულ იქნა პირველი ფედერალური კანონი საავტორო უფლებების შესახებ.

ინტელექტუალური საკუთრების ადრეული ისტორიის მნიშვნელობა და მემკვიდრეობა

რას გვასწავლის განხილული ისტორიული ექსკურსი ინტელექტუალური საკუთრების დღევანდელ სიტუაზზე? სულ მცირე, სამ ფაქტს ჰყენს ნათელს. პირველი, უძველესი დროის, შუა საუკუნეებისა თუ რენესანსის ეპოქის განსხვავებულ საზოგადოებებს ინტელექტუალური საკუთრების დაფასების მიმართ მზარდი ინტერესი აერთიანებდათ და, შესაბამისად, მისი დაცვის გზებსაც ეძებდნენ. ასევე, შევითვქვით, რომ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა მექანიზმით იცავდნენ იმას, რასაც დღესდღეობით ინტელექტუალური საკუთრების უფლებები იცავს - იქნებოდა ეს კულინარიული რეცეპტები თუ წიგნები და ტექნოლოგიები. დაბოლოს, ის, რასაც დღეს ინტელექტუალური საკუთრების უფლების სახით ვიცნობთ, ადრეული პერიოდის, განსაკუთრებით კი, ახალი დროის გამოცხდია. მაგალითად, მოსაზრება, რომლის თანახმადაც ინტელექტუალური საკუთრების უფლებები „მეცნიერებისა და სასარგებლო დარგების“ პროგრესის ხელისშეწყობი და გარანტორია, დღესაც არ კარგავს აქტუალურობას, პირიქით, მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების დღის წესრიგის ქვაკუთხედაა.